09/03/2026

MES 2 26 0000280649

საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭოს
სხდომის ოქმი

ქ. თბილისი
სხდომის თარიღი: 20.02.2026
სხდომის დაწყების დრო: 14:00 სთ
სხდომის დასრულების დრო: 16:15 სთ
საბჭოს თავმჯდომარე: ლევან შავაძე
საბჭოს მდივანი: ვაჟა კელიხაშვილი

საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2011 წლის 4 მაისის №65/ნ ბრძანებით დამტკიცებული „უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის დებულების" (შემდეგში-აკრედიტაციის დებულება) 27[2]-ე მუხლის მე-13 პუნქტის საფუძველზე საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭოს სხდომა ჩატარდა დისტანციურად, კომუნიკაციის თანამედროვე ელექტრონული საშუალებების, პროგრამა - Zoom-ის გამოყენებით.
საბჭოს სხდომაში მონაწილე ყველა პირმა თანხმობა განაცხადა, რომ დისტანციური ფორმით მიეღო მონაწილეობა საბჭოს მუშაობის პროცესში.

საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის (შემდგომში საბჭო) სხდომაზე დამსწრე წევრები:

1. **ლევანშავაძე**- სსიპ - იაკობ გოგებაშვილის სახელობის თელავის სახელმწიფო უნივერსიტეტის აგრარულ საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა და ტექნოლოგიების ფაკულტეტის ასოცირებული პროფესორი - საბჭოს თავმჯდომარე;
2. **ქეთევანაფთარაშვილი**- შპს - აღმოსავლეთ ევროპის უნივერსიტეტის განათლების მეცნიერებების ფაკულტეტის დეკანი - საბჭოს თავმჯდომარის მოადგილე;
3. **ვაჟაკელიხაშვილი**- ა(ა)იპ - საქართველოს სტუდენტური ორგანიზაციების ასოციაციის სტუდენტთა უფლებებისა და კანონიერი ინტერესების დაცვის მენეჯერი - საბჭოს მდივანი;
4. **თეამჭედლური**- შპს „უნივერსიტეტი ალტერბრიჯის" ხარისხის სამსახურის კონსულტანტი;
5. **ვლადიმერადეიშვილი**- სსიპ - აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტის სწავლების მეთოდიკათა დეპარტამენტის ასოცირებული პროფესორი, პედაგოგიური ფაკულტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი;
6. **ციურიდურული**- სსიპ - გორის სახელმწიფო უნივერსიტეტის სოციალურ მეცნიერებათა, ბიზნესისა და სამართალმცოდნეობის ფაკულტეტის პროფესორი, სასწავლო პროცესის მართვის სამსახურის უფროსი;
7. **ქეთევანნანობაშვილი**- შპს - კავკასიის საერთაშორისო უნივერსიტეტის პროფესორი, ბიზნესისა და ტექნოლოგიების ფაკულტეტის დეკანი;

8. **დავითკაპანაძე**- სსიპ - საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის ინფორმაციული ტექნოლოგიების სამსახურის უფროსი, ინფორმატიკისა და მართვის სისტემების ფაკულტეტის პროფესორი;
9. **მზიაწიკლაური**- შპს - გრიგოლ რობაქიძის სახელობის უნივერსიტეტის მედიცინის სკოლის ასოცირებული პროფესორი;
10. **ელიზბარელიზბარაშვილი**- ა(ა)იპ - საქართველოს აგრარული უნივერსიტეტის საბუნებისმეტყველო მეცნიერებების და ბიოტექნოლოგიის სკოლის დეკანი;
11. **ირინალობჟანიძე**- სსიპ - ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის ლინგვისტურ კვლევათა ინსტიტუტის დირექტორი, მეცნიერებათა და ხელოვნების ფაკულტეტზე ენისა და ლიტერატურის მიმართულებით პროფესორი;
12. **ბონდო გასვიანი** -შპს საქართველოს ეროვნული უნივერისტეტი სეუს ბიზნესისა და ტექნოლოგიების ფაკულტეტის ასოცირებული პროფესორი;
13. **ნარგული ასანიძე** - სსიპ - ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის ტექნოლოგიური ფაკულტეტის აგროეკოლოგიისა და სატყეო საქმის დარგობრივი დეპარტამენტის ასოცირებული პროფესორი.
14. **მაქსიმ იავიჩი** - შპს კავკასიის უნივერისტეტის პროფესორი, კიბერუსაფრთხოების ცენტრის ხელმძღვანელი.

სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის (შემდგომში - ცენტრი) წარმომადგენლები:
გვანცა ძიძიგური - უმაღლესი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის მთავარი სპეციალისტი.

საგანმანათლებლო დაწესებულების წარმომადგენლები:

შპს საქართველოს უნივერსიტეტი:
სოსო გოგილიძე - პრორექტორი სასწავლო და სამეცნიერო დარგში;
არჩილ ჯანგირაშვილი - ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი;
თინათინ ღუდუშაური - ხელოვნებისა და ჰუმანიტარულ მეცნიერებათა სკოლის დირექტორი;
გიორგი უშიკიშვილი - "ქართული ტრადიციული მუსიკის" საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის თანახელმძღვანელი;
ოთარ კაპანაძე - "ქართული ტრადიციული მუსიკის" საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის თანახელმძღვანელი;
მალხაზ ერქვანიძე - "ქართული ტრადიციული მუსიკის" საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის თანახელმძღვანელი.

ა(ა)იპ - ნიუ ვიჟენ უნივერსიტეტი:
თამარ რაზმაძე - ხარისიხს კულტურის კომიტეტის მენჯერი;
ნატალია ქურდაძე - სტომატოლოგიის სკოლის დეკანი;
ვახტანგ ზაალიშვილი- იურიდიიული კომიტეტის ხელმძღვანელი.

სსიპ - აპოლონ ქუთათელაძის სახელობის სახელმწიფო სამხატვრო აკადემია:
გია იაშვილი - დიზაინის ფაკულტეტის დეკანი;
ანდრო გიორგაძე - პროგრამის ხელმძღვანელი;
ნინო მგალობლიშვილი - ფაკულტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი;
ნინო ღაღანიძე - თსსა ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი.

აკრედიტაციის ექსპერტები:

ა) მარგარეტ ელიზაბეტ პოლოკ როსი (Margaret Elizabeth Pollock Ross)
ბ) ლიანა ხორბალაძე;
ბ) მაია ტაბლიაშვილი;
დ) ნინო ქიმერიძე;
ე) ნათია გეგელაშვილი;
ვ) ელენე გიგინეიშვილი;
ზ) თამთა ლეკიშვილი;
თ) გიორგი ფაღავა;
ი) თამარ ჩხეიძე;
კ) თამარ თხელიძე.

საბჭოს თავმჯდომარემ საბჭოს წევრებს გააცნო დღის წესრიგი:

1. შპს საქართველოს უნივერსიტეტის "ქართული ტრადიციული მუსიკის" საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის საკითხის განხილვა.
2. ა(ა)იპ -ნიუ ვიჟენ უნივერსიტეტის ,,სტომატოლოგიის" ინგლისურენოვანი ერთსაფეხურიანი საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის საკითხის განხილვა.
3. სსიპ - აპოლონ ქუთათელაძის სახელობის სახელმწიფო სამხატვრო აკადემიის „საიუველირო და ლითონის დამუშავების ხელოვნების“ საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამაზე განხორციელებული გეგმიური მონიტორინგის საკითხის განხილვა.
4. სსიპ - აპოლონ ქუთათელაძის სახელობის სახელმწიფო სამხატვრო აკადემიის „საიუველირო და ლითონის დამუშავების ხელოვნების“ სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამაზე განხორციელებული გეგმიური მონიტორინგის საკითხის განხილვა

შუამდგომლობა დღის წესრიგის ცვლილებასთან დაკავშირებით
• კი

ცენტრის წარმომადგენელმა საბჭოს გააცნო შუამდგომლობა, რომელიც ეხებოდა სსიპ - საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის კონკრეტული პროგრამების სახელის ცვლილების საკითხს.

დამტკიცებული დღის წესრიგი:
1-6 საკითხი - სსიპ - საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის პროგრამების სახელწოდების ცვლილების საკითხის განხილვა;
7. შპს საქართველოს უნივერსიტეტის "ქართული ტრადიციული მუსიკის" საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის საკითხის განხილვა.
8. ა(ა)იპ - ნიუ ვიჟენ უნივერსიტეტის "სტომატოლოგიის" ინგლისურენოვანი ერთსაფეხურიანი საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის საკითხის განხილვა.
9. სსიპ - აპოლონ ქუთათელაძის სახელობის სახელმწიფო სამხატვრო აკადემიის "საიუველირო და ლითონის დამუშავების ხელოვნების“ საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამაზე განხორციელებული გეგმიური მონიტორინგის საკითხის განხილვა.
10. სსიპ - აპოლონ ქუთათელაძის სახელობის სახელმწიფო სამხატვრო აკადემიის "საიუველირო და ლითონის დამუშავების ხელოვნების“ სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამაზე განხორციელებული გეგმიური მონიტორინგის საკითხის განხილვა.

1-6 საკითხი: სსიპ საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის პროგრამების სახელწოდების ცვლილების საკითხის განხილვა.

საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ საბჭოს წევრ(ებ)ის აცილება
√ არა
საბჭოს წევრ(ებ)ის თვითაცილება
√ კი
თვითაცილება განაცხადა დავით კაპანაძემ
თვითაცილების საფუძველი - შრომითი ხელშეკრულება დაწესებულებასთან

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა ცენტრის თანამშრომელს დაედასტურებინა, რომ სხდომას ესწრებოდნენ დაწესებულების წარმომადგენლები და ექსპერტები. ცენტრის წარმომადგენელმა დაადასტურა აღნიშნული პირების დასწრება.

1 - 6 საკითხის ზეპირი მოსმენა
ცენტრის წარმომადგენელმა დააყენა შუამდგომლობა შემდეგ საკითხთან დაკავშირებით:

1. "სსიპ - საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის "გეოლოგიის" საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის შესახებ" საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭოს 2021 წლის 13 ივლისის №706155 გადაწყვეტილებაში ცვლილების შეტანის საკითხი.
2. "სსიპ - საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის "გეოლოგიის" სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის შესახებ" საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭოს 2021 წლის 25 ივნისის №632908 გადაწყვეტილებაში ცვლილების შეტანის საკითხი.
3. "სსიპ - საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის "ქიმიის" საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის შესახებ" საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭოს 2021 წლის 29 დეკემბრის №1433445 განაწყვეტილებაში ცვლილების შეტანის საკითხი.
4. "სსიპ - საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის "ქიმიის" სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის შესახებ" საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭოს 2021 წლის 18 ივნისის №595607 გადაწყვეტილებაში ცვლილების შეტანის საკითხი.
5. "სსიპ - საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის "ფარმაციის" საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის შესახებ" საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭოს 2021 წლის 30 მარტის №303280 გადაწყვეტილებაში ცვლილების შეტანის საკითხი.
6. "სსიპ - საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის "ფარმაციის" სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის შესახებ" საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭოს 2021 წლის 30 მარტის №303281 გადაწყვეტილებაში ცვლილების შეტანის საკითხი.

სხდომაზე გამოცხადდა სათათბირო შესვენება
კენჭისყრის შედეგი:
მომხრე - 13
წინააღმდეგი - 0

გადაწყვეტილებები:
საბჭოს გადაწყვეტილებით, საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭოს 2021 წლის 13 ივლისის №706155 გადაწყვეტილებაში ცვლილების შეტანის გზით, "გეოლოგიის" საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამას შეეცვალა სახელწოდება და ჩამოყალიბდა შემდეგი სახით:
"გამოყენებითი გეოლოგია";

საბჭოს გადაწყვეტილებით, საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭოს 2021 წლის 25 ივნისის №632908 გადაწყვეტილებაში ცვლილების შეტანის გზით, "გეოლოგიის" სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამას შეეცვალა სახელწოდება და ჩამოყალიბდა შემდეგი სახით: "გამოყენებითი გეოლოგია";

საბჭოს გადაწყვეტილებით, საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭოს 2021 წლის 29 დეკემბრის №1433445 გადაწყვეტილებაში ცვლილების შეტანის გზით, "ქიმიის" საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამას შეეცვალა სახელწოდება და ჩამოყალიბდა შემდეგი სახით: "ქიმიური პროცესების ტექნოლოგია";

საბჭოს გადაწყვეტილებით, საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭოს 2021 წლის 18 ივნისის №595607 გადაწყვეტილებაში ცვლილების შეტანის გზით, "ქიმიის" საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამას შეეცვალა სახელწოდება და ჩამოყალიბდა შემდეგი სახით: "ქიმიური პროცესების ტექნოლოგია";

საბჭოს გადაწყვეტილებით, საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭოს 2021 წლის 30 მარტის №303280 გადაწყვეტილებაში ცვლილების შეტანის გზით, "ფარმაციის" საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამას შეეცვალა სახელწოდება და ჩამოყალიბდა შემდეგი სახით: "ფარმაცევტული ტექნოლოგია";

საბჭოს გადაწყვეტილებით, საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭოს 2021 წლის 30 მარტის №303281 გადაწყვეტილებაში ცვლილების შეტანის გზით, "ფარმაციის" საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამას შეეცვალა სახელწოდება და ჩამოყალიბდა შემდეგი სახით: "ფარმაცევტული ტექნოლოგია";

7. მეშვიდე საკითხი: შპს საქართველოს უნივერსიტეტის "ქართული ტრადიციული მუსიკის" საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის საკითხის განხილვა.

საგანმანათლებლოპროგრამისდასახელება: ქართული ტრადიციული მუსიკა
საფეხური: ბაკალავრიატი
მისანიჭებელიკვალიფიკაცია: სამუსიკო ხელოვნების ბაკალავრი საშემსრულებლო ხელოვნებაში (ტრადიციული მუსიკა)
დეტალურისფეროსდასახელებადაკოდი: 0215 - მუსიკა და საშემსრულებლო ხელოვნება
სწავლებისენა: ქართული
კრედიტებისრაოდენობა: 180
სტატუსი: ახალი

საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ საბჭოს წევრ(ებ)ის აცილება
√ არა
საბჭოს წევრ(ებ)ის თვითაცილება
√ არა

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა ცენტრის თანამშრომელს დაედასტურებინა, რომ სხდომას ესწრებოდნენ დაწესებულების წარმომადგენლები და ექსპერტები. ცენტრის წარმომადგენელმა დაადასტურა აღნიშნული პირების დასწრება.

საბჭოს თავმჯდომარემ საბჭოს წევრებს მიმართა დაედასტურებინათ, რომ იცნობდნენ უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ წარმოდგენილ თვითშეფასებას, აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნასა და საგანმანათლებლო პროგრამის ექსპერტთა

ჯგუფის დასკვნის პროექტზე დაწესებულების მიერ წარმოდგენილ არგუმენტირებულ პოზიციას. საბჭოს წევრებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ საქმის მასალებს.

საბჭოს თავმჯდომარემ ჰკითხა დაინტერესებული მხარის (საგანმანათლებლო დაწესებულების) წარმომადგენელს, იცნობდა თუ არა აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. წარმომადგენელ(ებ)მა დაადასტურა, რომ იცნობდ(ნენ)ა აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას.

მეშვიდე საკითხის ზეპირი მოსმენა
ექსპერტების პოზიციის განხილვა

საბჭოს თავმჯდომარემ სთხოვა ექსპერტთა ჯგუფს წარმოედგინათ მათი პოზიცია.
მარგარეტ ელიზაბეტ პოლოკ როსიმ აღნიშნა, რომ შეფასება ძირითადად განხორციელდა აკრედიტაციის მოთხოვნებთან შესაბამისობის ჭრილში იმისთვის, რომ პროგრამას მიეღო აკრედიტაცია. ძლიერ მხარედ ექსპერტებმა მიიჩნიეს ვიწროდ ჩამოყალიბებული მიზნები და უნივერსიტეტის მიერ წარმოდგენილი შესაბამისი რესურსები, რომლებიც ძირითადად ყურადღებას ამახვილებენ ქართულ ტრადიციულ ხელოვნებაზე. ასევე, ხაზი გაესვა მაღალკვალიფიცირებულ პერსონალს, რომელსაც აქვს ამ სფეროში გამოცდილება და სიღრმისეული ცოდნა. შეფასების სისტემა ძირითადად ციფრულია უნივერსიტეტში. კარგად არის განვითარებული სტუდენტთა მხარდაჭერის სისტემა, რომელიც გულისხმობს კარიერული მიმართულებით მხარდაჭერასა და პროფესიულ განვითარებას. დადებით მხარედ ასევე მიჩნეულია მატერიალური რესურსი და შესაბამისი ინფრასტრუქტურა. იმის გათვალისწინებით, რომ მთელი რიგი საკითხები ძალიან მაღალ დონეზეა შესრულებული, მაინც არის გარკვეული საკითხები, რომლებიც საჭიროებს განვითარებას და სტანდარტთან შესაბამისობაში მოსვლას. უნივერსიტეტმა განსაკუთრებული ყურადღება უნდა გაამახვილოს შრომის ბაზრის კვლევასა და კურიკულუმის დიზაინს შორის დოკუმენტური შესაბამისობის მოყვანაზე. პროგრამა ზუსტად უნდა ასახავდეს როგორც დამსაქმებლების მოთხოვნას, ისე ბაზარზე არსებული საჭიროებების ძირითად მოთხოვნებს. სწავლის შედეგების შეფასებასთან დაკავშირებით უნდა შემუშავდეს სამიზნე ნიშნულების დოკუმენტები, რომლებიც უშუალოდ განსაზღვრავს კონკრეტულ ინსტრუმენტებს და სწავლის შედეგებზე იქნება მორგებული. ასევე, უფრო მკაფიოდ უნდა იყოს განსაზღვრული კვალიფიკაციის განსაზღვრებები. ამასთან, პროგრამის სწავლის შედეგები უნდა იყოს სრულ შესაბამისობაში მიღებულ შედეგებთან. ექსპერტის განმარტებით, კურიკულუმში ზუსტად არ არის ასახული აკადემიური რეიტინგის ძირითადი მახასიათებლები. პროგრამა ძირითადად ეფუძნება მოწვეულ პერსონალს, შესაბამისად, ექსპერტების მიერ გაიცა რეკომენდაცია ძირითადი საგნები განხორციელონ აკადემიურმა პერსონალმა. შიდა შეფასებების მონაცემები ძირითადად უნდა ასახავდეს რეალობას, ვიდრე იყენებდეს განზოგადებულ წინასწარი შეფასების გარკვეულ ნაწილებსა და მონაცემებს. როგორც პროცედურულ, ისე თეორიულ ნაწილში ზემოაღნიშნული ზემოაღნიშული სრულ შესაბამისობაში უნდა იქნას მოყვანილი. წარმოდგენილი რეკომენდაციების გათვალისწინების შემდეგ, ექსპერტები მიიჩნევენ, რომ პროგრამა სრულ შესაბამისობაში იქნება სტანდარტთან.

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა დაწესებულების წარმომადგენლებს წარმოედგინათ მოსაზრებები.
დაწესებულების წარმომადგენელმა, არჩილ ჯანგირაშვილმა აღნიშნა, რომ საბოლოო დასკვნაში აღარ ფიქსირდებოდა რამდენიმე რეკომენდაცია, რომელიც საერთაშორისო ექსპერტის მიერ იქნა აღნიშნული.

მარგარიტ როსმა დაადასტურა, რომ მის მიერ გაჟღერებული რეკომენდაციების ჩამონათვალი შეესაბამებოდა დასკვნის პროექტში მითითებულ რეკომენდაციებს და არა საბოლოო დასკვნაში ასახულ რეკომენდაციებს. მისი თქმით, საბოლოო დასკვნიდან ექსპერტებმა ამოიღეს რამდენიმე რეკომენდაცია დაწესებულების არგუმენტირებული პოზიციის გაცნობის შემდეგ,
საბჭოს თავჯდომარემ, ლევან შავაძემ დაადასტურა რომ საბჭოსთან მიწოდებული იყო დასკვნის დოკუმენტი რეკომენდაციების სწორი და საბოლოო ფორმულირებით.
არჩილ ჯანგირაშვილმა აღნიშნა, რომ გაცემული რეკომენდაციების ნაწილს დაწესებულება დაეთანხმა, მაგალითად, საგნების მოდიფიკაციასთან დაკავშირებულ რეკომენდაციას. უმცა დაწესებულებას აქვს პრეტენზია სამიზნე ნიშნულებთან დაკავშირებით. სამიზნე ნიშნულების გარეშე არ ხდება შიდა ხარისხის განხორციელება. უნივერსიტეტში არსებობს პირდაპირი და არაპირდაპირი შეფასების მექანიზმები, რომელთა საშუალებითაც იზომება პროგრამის შედეგები და სილაბუსის სწავლის შედეგები. თუმცა სანამ კონკრეტული ინსტრუმენტებით შედეგები გაიზომება, მანამდე პროგრამის განვითარების საბჭო ყველა სემესტრის დასაწყისში საზღვრავს კონკრეტულად რა ნიშნული შეიძლება ჰქონდეს კონკრეტულ საგანს.
პროგრამის ხელმძღვანელმა, გიორგი უშიკიშვილმა შრომის ბაზართან დაკავშირებით აღნიშნა, რომ კვალიფიკაცია, რომელსაც პროგრამა ანიჭებს არის ქართული ხალხური სიმღერის შემსრულებელი. შესაბამისად, მომღერლის ბაზრის კვლევა არარელევანტურია.
არჩილ ჯანგირაშვილმა აღნიშნა, რომ ინსტიტუცია ახორციელებს რამდენიმე პროგრამას, რომელიც არ არის მომგებიანი და მარტივად არ იშოვება სამუშაო ადგილები. თუმცა ქვეყანას სჭირდება ეს ყოველივე, შესაბამისად ყოველივე ეს გახლავთ სუფთად ეროვნული მოტივი.

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს წარმოედგინათ მოსაზრებები.
ლევან შავაძემ კითხვით მიმართა ექსპერტებს. ის დაინტერესდა, რამდენად მოხდა წინა წარმოების შედეგის გათვალისწინება პროგრამაში და წინა შეფასების პროცესში გაცემული რეკომენდაციებიდან რა შესრულდა და რა არა.
ექსპერტმა ლიანა ხორბალაძემ აღნიშნა, რომ პირველად დოკუმენტაციას ექსპერტთა ჯგუფი გაეცნო ისე, რომ დამოუკიდებელი პოზიცია უკვე ჰქონდა ჩამოყალიბებული, თუმცა როდესაც გაეცნო პირველად დასკვნას ძირითადი ნაწილი შესრულებული იყო.
დაწესებულების წარმომადგენელმა აღნიშნა, რომ შინაარსობრივი მხარე პირველი აკრედიტაციის შემდეგ არ შეცვლილა. ძირითადად განხორციელდა ტექნიკური ცვლილებები და დაემატა ანსამბლის მომღერლები.
საბჭოს წევრს, ვლადიმერ ადეიშვილს აინტერესებდა „საველე მუშაობა“ რომელ არეალს მოიცავდა.
არჩილ ჯანგირაშვილმა აღნიშნა, რომ მიუხედავად იმისა, რომ პროგრამამ პირველ ჯერზე აკრედიტაცია ვერ გაიარა, მნიშვნელოვანი ღონისძიებები ჩატარდა საქართველოს ყველა რეგიონში. დაწესებულება ასევე უკვე მუშაობს ტექნიკურ საკითხზე, სადაც ნებისმიერ ადამიანს ექნება საშუალება შევიდეს და ააწყოს მუსიკა ხმების მიხედვით.
გიორგი უშიკიშვილმა აღნიშნა, რომ სტუდენტის მოთხოვნებიც გათვალისწინებულია და მისი სურვილისამებრ შეიძლება დაიგეგმოს ექსპედიციაც.
საბჭოს თავმჯდომარის მოადგილემ, ქეთევან აფთარაშვილმა აღნიშნა რომ პირველი ორი სემესტრისთვის გამოყოფილ კრედიტებთან მიმართებით გაცემული იყო რჩევა. მას აინტერესებდა რა გახდა ამ რჩევის გაცემის მიზეზი, რადგან კრედიტების ჯამი წლიურ 75 კრედიტს არ აღემატება.
ექსპერტმა ლიანა ხორბალაძემ აღნიშნა, რომ წლიური ჯამი 75 კრედიტს არ აჭარბებს, თუმცა სცდება რეკომენდებულ 60 კრედიტს, ამიტომ შეიძლება სტუდენტის გრაფიკი ყოფილიყო დატვირთული. ექსპერტები ზუსტად ვერ განსაზღვრავდნენ მოცემულ საკითხს, რადგან პროგრამა ჯერ არ არის მოქმედი,შესაბამისად გაიწერა რჩევა.

საბჭოს წევრმა, ელიზბარ ელიზბარაშვილმა აღნიშნა, რომ ეს რეკომენდაციები განვითარებას ემსახურება და არა ყოფნა არყოფნის საკითხს. მას აინტერესებდა ექსპერტების პოზიცია ამასთან დაკავშირებით.
ექსპერტმა აღნიშნა, რომ ძირითადი რეკომენდაციების ერთგვარი შეფასებისას აუცილებელი იყო ხაზგასმა ძლიერ მხარეებზე, თუმცა არის ცალკეული სფეროები, რომლებიც არსებით მნიშვნელოვან შეცვლას საჭიროებს და არის გამოსასწორებელი ნაწილები. სწორედ ეს იყო ძირითადი მიზეზი, რამაც ერთგვარი დაბნეულობა გამოიწვია.
არჩილ ჯანგირაშვილმა აღნიშნა, რომ 5.3 სწორედ ამ ფორმულირებით იყო ნახსენები პირველ პროექტში, რაც შეუძლებელია რეკომენდაციად იყოს მიჩნეული და საბოლოოდ დასკვნის პროექტში არგუმენტირებული პოზიციის შემდეგ მოხდა მისი ამოღება.
აბჭოს წევრმა, ქეთევან ნანობაშვილმა აღნიშნა, რომ წინა აკრედიტაციის დროს მიზანში იყო ჩანაწერი რომ სტუდენტს უნდა ესწავლებინა, რაც უკვე ამოღებულია. მიუხედავად ამისა, სწავლის შედეგებში კვლავ არის ჩანაწერი „ასწავლის სხვადასხვა ხმას“. მას აინტერესებდა ამის მისაღწევად რაიმე სწავლების მეთოდოლოგიას ხომ არ უნდა სწავლობდეს სტუდენტი.
არჩილ ჯანგირაშვილმა აღნიშნა, რომ არის ჩამატებული კურსი „ანსამბლი“, რომელიც ზუსტად აღნიშნულ მეთოდოლოგიაზეა აგებული.

სხდომაზე გამოცხადდა სათათბირო შესვენება
დაწყების დრო: 14:46
დასრულების დრო: 15:31

საბჭოს თავჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა: შპს საქართველოს უნივერსიტეტის "ქართული ტრადიციული მუსიკის" საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამისთვის პირობითი აკრედიტაციის მინიჭების საკითხი, 1.5 წლის ვადით.

კენჭისყრის შედეგი:
მომხრე - 14
წინააღმდეგი - 0

გადაწყვეტილება:
„უმაღლესი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის 66-ე მუხლის პირველი პუნქტის, მე-2 პუნქტის “ბ” ქვეპუნქტის, მე-3 და მე-5 პუნქტების, „განათლების ხარისხის განვითარების შესახებ“ საქართველოს კანონის 22-ე მუხლის პირველი პუნქტის, მე-2 პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტის, მე-5 და მე-9 პუნქტების, აკრედიტაციის დებულების 27^2 მუხლის პირველი პუნქტის, 27^5 - ე მუხლის პირველი პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტისა და მე-5 პუნქტის, 27^6 - ე მუხლის პირველი პუნქტის „გ“ ქვეპუნქტის და საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 53-ე მუხლის შესაბამისად, შპს საქართველოს უნივერსიტეტის "ქართული ტრადიციული მუსიკის" საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამას მიენიჭა პირობითი აკრედიტაცია 1.5 წლის ვადით, 2027 წლის 9 თებერვლამდე.

8. მერვე საკითხი: ა(ა)იპ - ნიუ ვიჟენ უნივერსიტეტის ,,სტომატოლოგიის" ინგლისურენოვანი ერთსაფეხურიანი საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის საკითხის განხილვა.

საგანმანათლებლოპროგრამისდასახელება: სტომატოლოგია
საფეხური: ერთსაფეხურიანი
მისანიჭებელიკვალიფიკაცია: დიპლომირებული სტომატოლოგი
დეტალურისფეროსდასახელებადაკოდი: 0911 - დენტალური მედიცინა
სწავლებისენა: ინგლისური
კრედიტებისრაოდენობა: 300

სტატუსი: ავტორიზებული, უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს 2019 წლის 2 ოქტომბრის N38 გადაწყვეტილება

საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ საბჭოს წევრ(ებ)ის აცილება
√ არა
საბჭოს წევრ(ებ)ის თვითაცილება
√ არა

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა ცენტრის თანამშრომელს დაედასტურებინა, რომ სხდომას ესწრებოდნენ დაწესებულების წარმომადგენლები და ექსპერტები. ცენტრის წარმომადგენელმა დაადასტურა აღნიშნული პირების დასწრება.

საბჭოს თავმჯდომარემ საბჭოს წევრებს მიმართა დაედასტურებინათ, რომ იცნობდნენ უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ წარმოდგენილ თვითშეფასებას, აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნასა და საგანმანათლებლო პროგრამის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნის პროექტზე დაწესებულების მიერ წარმოდგენილ არგუმენტირებულ პოზიციას. საბჭოს წევრებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ საქმის მასალებს.

საბჭოს თავმჯდომარემ ჰკითხა დაინტერესებული მხარის (საგანმანათლებლო დაწესებულების) წარმომადგენელს, იცნობდა თუ არა აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. წარმომადგენელ(ებ)მა დაადასტურა, რომ იცნობდ(ნენ)ა აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას.

მერვე საკითხის ზეპირი მოსმენა
ექსპერტების პოზიციის განხილვა

საბჭოს თავმჯდომარემ სთხოვა ექსპერტთა ჯგუფს წარმოედგინათ მათი პოზიცია.
საერთაშორისო ექსპერტის, პოუიან ამინიშაკიბის პოზიცია საბჭოს ცენტრის წარმომადგენელმა გააცნო. იმართვაში აღინიშნა რომ საბჭოს მითითებები და რეკომენდაციები პირდაპირი და მიზანმიმართულია, რათა უზრუნველყოს, რომ ნიუ ვიჟენის კურსდამთავრებულს ჰქონდეს მაღალი ხარისხი და სანდო კლინიკური კომპეტენციები, პრაქტიკული კვლევითი უნარები და გამჭვირვალე მდგრადი ხარისხის უზრუნველყოფის სისტემა. ეს რეკომენდაციები წარმოადგენს ინსტრუმენტებს, რომლებიც კლინიკურ მზაობას ხდის თვალსაჩინოს და დასაბუთებულს უწყვეტი განხორციელების გაუმჯობესებისთვის.
კლინიკური კომპეტენციის ოპერაციული განხორციელებაპირველი პრიორიტეტია კლინიკური კომპეტენციის გარდაქმნა 2 შეფასებადი შედეგის ფორმით. ამ მიზნით კლინიკური კომპეტენციის საფუძვლად უნდა დადგინდეს პროგრესიული საქმიანობის მინდობილი ერთეული ე.წ EPA. რეკომენდებულია 10-12 EPA-ის განსაზღვრა, რომლებიც ასახავს სტომატოლოგიური პრაქტიკის უმთავრესი ამოცანის ძირითად ამოცანებს ძირითად დისციპლინებში, როგორიცაა „ორთოდონტია“, “პაროდენტოლოგია“, „პირის ღრუს ქირურგია“, „პედიატრიული სტომატოლოგია“, „გადაუდებელი დახმარების მართვა“ და „ინფექციის კონტროლი“. თითოეული EPA -ით უნდა განისაზღვროს პაციენტთან ურთიერთქმედების მინიმალური რაოდენობა, ზედამხედველობის საჭირო დონე და შეფასების მეთოდები, მათ შორის, უშუალო დაკვირვება, მინი კლინიკური სავარჯიშო შეფასება და ობიექტურად სტრუქტურირებული კლინიკური გამოცდა. პროფესიული საქმიანობის ერთეულები იგულისხმება ADEE, უნდა იყოს ციფრულ ჟურნალში, სადაც ხელმძღვანელი ხელმოწერით დაადასტურებს დავალების შესრულებას. ეს მიდგომა კლინიკურ კომპეტენციას გამჭვირვალეს ხდის. მეორე პრიორიტეტია კვლევითი კომპონენტის პრაქტიკულ და კლინიკურ

მიმართულებად გარდაქმნა. ამ მიზნით რეკომენდებულია კრედიტით უზრუნველყოფილი კლინიკური კვლევის მოდულის დანერგვა მესამე და მეოთხე კურსებზე. მოდული უნდა ითვალისწინებდეს, რომ თითოეულმა სტუდენტმა ხელმძღვანელის უშუალო მეთოდებით შეასრულოს მცირე კვლევითი პროექტი, მაგალითად: შემთხვევების ანალიზი, მიზნობრივი მიმოხილვა ან პაციენტის მოვლასთან დაკავშირებული ხარისხების გაუმჯობესების ციკლი. სწავლების ფორმატი უნდა შეიცავდეს მოკლე გამოყენებით ვორქშოფებსა და სემინარებს, რომლებიც ფოკუსირებული იქნება კვლევის დიზაინზე, ბიოსტატისტიკის საფუძვლებსა და კრიტიკული ანალიზის უნარებზე. ამ ტიპის პროექტი სტუდენტს ეხმარება განავითაროს მტკიცებულებაზე დაფუძნებული პრაქტიკული კვლევები და წარმოადგინოს შეფასებითი შედეგები, რომელიც აძლიერებს კლინიკურ მსჯელობას, ინტერნაციონალიზაციისა და აკადემიური შესაძლებლობების გაძლიერებას. საერთაშორისო პარტნიორები და ფაკულტეტების პროფესიული განვითარება წარმოადგენს სტრუქტურულ განმამტკიცებელ მექანიზმებს. რეკომენდებულია 3-5 ურთიერთგაგების მემორანდუმის გაფორმება ევროპულ სტომატოლოგიურ სკოლებთან და სასწავლო დაწესებულებებთან მოკლევადიანი მიზნობრივი გაცვლითი პროგრამების განხორციელების მიზნით, დაახლოებით 2-6 კვირის ხანგრძლივობით, მკაფიოდ განსაზღვრული სასწავლო მიზნებისა და სტუდენტის ხელმძღვანელობის თანაფარდობით. პირველ წელს მიზანშეწონილია ერთი საპილოტე გაცვლითი პროგრამის განხორციელება შემდეგ კი მისი ეტაპობრივი გაფართოება.

შეფასების და მმართველობის სისტემის განსაზღვრა.

უნდა გადაიხედოს სილაბუსები, რათა მკაფიოდ განისაზღვროს გამოცდის ჩაბარების მინიმალური ზღვრები. გადაბარება/აღდგენის წესები, გამოცდაზე დაშვების აუცილებელი კლინიკური მოთხოვნები. უნდა გამოქვეყნდეს ერთიანი სახელმძღვანელო, რომელიც გააერთიანებს აღნიშნულ წესს, განსაზღვრავს გასაჩივრების პროცედურებს და შედეგებზე გასვლის გზებს. საჭიროა შეიქმნას კლინიკური კომპეტენციების კომიტეტი, რომელიც კვარტალში ერთხელ შეიკრიბება გამონაკლისი შემთხვევების განხილვის მიზნით. წელიწადში ერთხელ უნდა მოიძიოს უნივერსიტეტმა გარე შემფასებელი, რომელიც შეამოწმებს ოსკის პროცესს და კლინიკურ ჟურნალებს. თითოეული რეკომენდაციის შესრულებაზე უნდა დაინიშნოს პასუხისმგებელი პირი და დაწესდეს მოკლე კვარტალური ანგარიშების წესი უნივერსიტეტის საბჭოს და ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურისთვის.

პროგრამის განხორციელების გზამკვლევი და მეტრიკები.

საწყის ეტაპზე უნდა ჩამოაყალიბოს დაწესებულებამ სამი სამუშაო ჯგუფი შემდეგი მიმართულებებით: კლინიკური კომპეტენცია, კვლევის ინტეგრაცია და შეფასების და ხარისხის უზრუნველყოფა. თითოეულ ჯგუფს უნდა ჰყავდეს დასახელებული ხელმძღვანელი და უნდა იყოს მკაფიო და გაწერილი ვადები: 0-დან 2 თვემდე პერიოდში ჯგუფების ჩამოყალიბება; მე-3 მე-5 თვეში GPA-ის პროექტების შემუშავება, კვლევითი მოდულის პრეზენტაცია და ურთიერთგაგების მემორანდუმის შესახებ მოლაპარაკებების დაწყება; მე-7 მე-9 თვეს პირველი ინტენსიური ტრენინგის ე.წ ბუთქემფის ორიგანიზება და შეფასების სახელმძღვანელოს დასრულება; მეთერთმეტე-მეთორმეტე თვეში საპილოტე მაჩვენებლების მეტრიკების შეფასება.

შესრულების ძირითადი ინდიკატორები.

განისაზღვროს შესრულების ძირითადი ინდიკატორები შემდეგი მიმართულებით: EPA-ს მიღწევის მაჩვენებლები, თითოეულ დისციპლინაში სტუდენტზე გათვალისწინებული საშუალო რაოდენობა, სტუდენტთა რაოდენობა, რომლებმაც დაასრულეს მინი პროექტები, აკადემიური პერსონალის უწყვეტი პროფესიული განვითარების აქტივობები. ოსკის ჩაბარების მაჩვენებელი, გადაბარება, რეკომენდაციის პროცესის წარმატებით დასრულების მაჩვენებელი. წარმოდგენილი მონაცემები და ანგარიშგება განახორციელეთ კვანტურად და მონაცემები გამოიყენეთ უწყვეტი გაუმჯობესების მართვისთვის.

კომუნიკაცია და დაინტერესებულ მხარეთა ჩართულობა.

წარმატება მნიშვნელოვნად არის დამოკიდებული გამჭვირვალობასა და აქტიურ ჩართულობაზე. უნდა გამოქვეყნდეს EPA-ის განმარტებები და შეფასების სახელმძღვანელო.

კლინიკური პარტნიორებისთვის უნდა მომზადდეს სახელმძღვანელოები და ჩატარდეს შესრულებული კალიბრაციის ვორქშოპები. დამსაქმებლები და კურსდამთავრებულები ჩართულნი უნდა იყვნენ EPA-ის განსაზღვრასა და საკონსულტაციო საქმიანობებში. მკაფიო და თანმიმდევრული კომუნიკაცია ამცირებს წინააღმდეგობას და ქმნის საერთო პასუხისმგებლობის და თანამონაწილეობის კულტურას.
დასასრულს, საბჭოს რეკომენდაციები მოიცავს შემდეგს: EPA-ის განსაზღვრა და შეფასების სისტემის ჩამოყალიბება ქმნის სტრუქტურულ ჩარჩოს, რომელიც საფუძვლად ედება კვლევით ინტეგრაციას, აკადემიური პერსონალის პროფესიულ განვითარებასა და საერთაშორისო გაცვლით პროგრამებს. ამოცანების მკაფიო განსაზღვრა, უნარების სწავლება რეალურ გარემოში, შედეგების სისტემური გაზომვა, გამჭვირვალე ანგარიშგება. ამგვარი მიდგომით ნიუ ვიჟენ უნივერსიტეტი არა მხოლოდ დააკმაყოფილებს მოთხოვნილ სტანდარტებს, არამედ კიდევ უფრო განამტკიცებს საკუთარ რეპუტაციას.

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა დაწესებულების წარმომადგენლებს წარმოედგინათ მოსაზრებები.
დაწესებულების წარმომადგენელმა, თამარ რაზმაძემ აღნიშნა, რომ ინსტიტუცია ეთანხმება იმ რეკომენდაციებს, რომლებიც დასკვნაშია ასახული. უნივერსიტეტმა დასკვნის პროექტის მიღებისთანავე დაიწყო რეკომენდაციების შესაბამისად რეგულაციების გატარება, შესაბამისად, მზად არის, რომ საბჭოს მიერ მითითებულ ვადაში შეასრულოს თითოეული მათგანი.

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს წარმოედგინათ მოსაზრებები.
საბჭოს წევრმა, თეა მჭედლურმა კითხვით მიმართა ექსპერტებს 2.2 კომპონენტის რეკომენდაციებთან დაკავშირებით. აქ რეკომენდებული იყო, რომ უნივერსიტეტს დაემატებინა ქართული ენის საგანი. შემდეგ აღნიშნულია, რომ USD-მ ვიზიტამდე 25 ნოემბერს აღნიშნული საგანი დაამატა და შევიდა ცვლილება. შესაბამისად, ვიზიტის დროს ცვლილება უკვე შეტანილი იყო. აღნიშნულიდან გამომდინარე მას აინტერესებდა, დაისვა თუ არა კითხვა ქართული ენის კურსის დამატების თაობაზე ვიზიტისას. მეორე შეკითხვა კი ეხებოდა 2.3 კომპონენტის რეკომენდაციას. ნარატივის მიხედვით, აკადემიურ და მოწვეულ პერსონალთან ინტერვიუების დროს გამოიკვეთა, რომ უნივერსიტეტი აქტიურად უჭერს მხარს საკუთარ პერსონალს უწყვეტ პროფესიულ განვითარებაში. შესაბამისად, ის დაინტერესდა რა გახდა ამ რეკომენდაციის გაცემის მიზეზი.
ექსპერტმა აღნიშნა, რომ დაწესებულებამ, როდესაც შემოიტანა დოკუმენტაცია ქართულ ენასთან დაკავშირებული ცვლილებები არ იყო შეტანილი, ამიტომ ვერ გაითვალისწინეს აღნიშნული საკითხი. რაც შეეხება უწყვეტ პროფესიულ განვითარებას, დაწესებულებას ამ კუთხით ბევრი აქტივობა აქვს განხორციელებული, უბრალოდ ექსპერტები ხელმძღვანელობენ სტომატოლოგიის უმაღლესი განათლების დარგობრივი მახასიათებლით, სადაც ზუსტად არის გაწერილი ტრენინგები, რომლებიც უნდა განხორციელდეს 5 წელიწადში ერთხელ. შესაბამისად, ამ ტრენინგების ნაკლებობა იყო დაწესებულებაში.
საბჭოს წევრმა, მზია წიკლაურმა აღნიშნა, რომ ტრენინგების გავლასა და დანერგვას შორის დიდი სხვაობაა.
ექსპერტმა აღნიშნა, რომ მხოლოდ ტრენინგების გავლაა რეკომენდებული.

სხდომაზე გამოცხადდა სათათბირო შესვენება
დაწყების დრო: 15:50
დასრულების დრო: 16:00

საბჭოს თავჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა: ა(ა)იპ - ნიუ ვიჟენ უნივერსიტეტის ,,სტომატოლოგიის" ინგლისურენოვანი ერთსაფეხურიანი საგანმანათლებლო პროგრამისთვის აკრედიტაციის მინიჭების საკითხი კლასტერის ვადით 2027 წლის 31 დეკემბრამდე, 1 წლის

თავზე აკრედიტაციის საბჭოს რეკომენდაციების შესრულების თაობაზე ანგარიშის წარმოდგენით.

კენჭისყრის შედეგი:
მომხრე - 14
წინააღმდეგი - 0

გადაწყვეტილება:
უმაღლესი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის 66-ე მუხლის პირველი პუნქტის, მე-2 პუნქტის “ა” ქვეპუნქტის, მე-3 და მე-4 პუნქტების, „განათლების ხარისხის განვითარების შესახებ“ საქართველოს კანონის 22-ე მუხლის პირველი პუნქტის, მე-2 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის, მე-3 და მე-8 პუნქტების, აკრედიტაციის დებულების 27^2 -ე მუხლის პირველი პუნქტის, 27^5 -ე მუხლის პირველი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტისა და მე-5 პუნქტის, 27^6 -ე მუხლის პირველი პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტის, „საჯარო სამართლის იურიდიული პირის - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის საქმისწარმოების წესისა და შინაგანაწესის დამტკიცების შესახებ” სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის დირექტორის 2011 წლის 01 ივნისის №223 ბრძანების მე-8 მუხლისა და საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 53-ე მუხლის შესაბამისად, ა(ა)იპ - ნიუ ვიჟენ უნივერსიტეტის ,,სტომატოლოგიის" ინგლისურენოვან ერთსაფეხურიან საგანმანათლებლო პროგრამას მიენიჭა აკრედიტაცია კლასტერის ვადით 2027 წლის 31 დეკემბრამდე, 1 წლის თავზე აკრედიტაციის საბჭოს რეკომენდაციების შესრულების თაობაზე ანგარიშის წარმოდგენით.

საბჭომ ერთად განიხილა მეცხრე და მეათე საკითხები.

9. მეცხრე საკითხი: სსიპ - აპოლონ ქუთათელაძის სახელობის სახელმწიფო სამხატვრო აკადემიის „საიუველირო და ლითონის დამუშავების ხელოვნების“ საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამაზე განხორციელებული გეგმიური მონიტორინგის საკითხის განხილვა.

10. მეათე საკითხი: სსიპ - აპოლონ ქუთათელაძის სახელობის სახელმწიფო სამხატვრო აკადემიის „საიუველირო და ლითონის დამუშავების ხელოვნების“ სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამაზე განხორციელებული გეგმიური მონიტორინგის საკითხის განხილვა.

საგანმანათლებლოპროგრამისდასახელება: საიუველირო და ლითონის დამუშავების ხელოვნება
საფეხური: ბაკალავრიატი
მისანიჭებელიკვალიფიკაცია: ხელოვნების ბაკალავრი საიუველირო ხელოვნებაში
დეტალურისფეროსდასახელებადაკოდი: 214.1.3 საიუველირო ხელოვნება
სწავლებისენა: ქართული
კრედიტებისრაოდენობა: 240
სტატუსი: აკრედიტებული, გადაწყვეტილება N 33739, 16/01/2024

საგანმანათლებლოპროგრამისდასახელება: საიუველირო და ლითონის დამუშავების ხელოვნება
საფეხური: მაგისტრატურა

მისანიჭებელიკვალიფიკაცია: ხელოვნების მაგისტრი საიუველირო ხელოვნებაში
დეტალურისფეროსდასახელებადაკოდი: 214.1.3 საიუველირო ხელოვნება
სწავლებისენა: ქართული
კრედიტებისრაოდენობა: 120
სტატუსი: აკრედიტებული, გადაწყვეტილება N 33741, 16/01/2024

საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ საბჭოს წევრ(ებ)ის აცილება
√ არა
საბჭოს წევრ(ებ)ის თვითაცილება
√ არა

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა ცენტრის თანამშრომელს დაედასტურებინა, რომ სხდომას ესწრებოდნენ დაწესებულების წარმომადგენლები და ექსპერტები. ცენტრის წარმომადგენელმა დაადასტურა აღნიშნული პირების დასწრება.

საბჭოს თავმჯდომარემ საბჭოს წევრებს მიმართა დაედასტურებინათ, რომ იცნობდნენ უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ წარმოდგენილ თვითშეფასებას, აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნასა და საგანმანათლებლო პროგრამის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნის პროექტზე დაწესებულების მიერ წარმოდგენილ არგუმენტირებულ პოზიციას. საბჭოს წევრებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ საქმის მასალებს.

საბჭოს თავმჯდომარემ ჰკითხა დაინტერესებული მხარის (საგანმანათლებლო დაწესებულების) წარმომადგენელს, იცნობდა თუ არა აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. წარმომადგენელ(ებ)მა დაადასტურა, რომ იცნობდ(ნენ)ა აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას.

მეცხრე და მეათე საკითხების ზეპირი მოსმენა
ექსპერტების პოზიციის განხილვა

საბჭოს თავმჯდომარემ სთხოვა ექსპერტთა ჯგუფს წარმოედგინათ მათი პოზიცია.
ექსპერტმა თამარ ჩხეიძემ აღნიშნა, რომ ეს პროგრამები აკრედიტაციის დროს წარმოდგენილი იყო სხვა პროგრამებთან ერთად, ამიტომ ბევრი იყო კლასტერული რეკომენდაცია. ვიზიტის განხორციელებამდე გაიმართა სამუშაო შეხვედრები და გასული წლის 8 დეკემბერს გაიმართა ვიზიტი. ამის საფუძველზე დადგინდა, რომ ყველა რეკომენდაცია, რაც იყო წარმოდგენილი აკრედიტაციის საბჭოზე არის შესრულებული. თუმცა ექსპერტებმა მაინც ჩათვალეს საჭიროდ, რომ 3 რჩევა განესაზღვრათ. 1.3 კომპონენტში გაცემული რჩევის თანახმად სასურველია პროგრამის სწავლის შედეგების შეფასების შესახებ პროგრამის ხელმძღვანელისა და პროგრამის აკადემიური პერსონალის ცოდნის დონის ამაღლება, რისთვისაც დაწესებულებამ უნდა გააგრძელოს მუშაობა. 4.1 კომპონენტში გაცემული რჩევის მიხედვით, სასურველია ადმინისტრაციამ მეტი ძალისხმევა გამოიჩინოს ფარნავაზ ლაპიაშვილის 1 ჩიხში განთავსებულ შენობა-ნაგებობის ინფრასტრუქტურისა და მატერიალურ-ტექნიკური ბაზის გასაუმჯობესებლად. ხოლო, 4.3 კომპონენტში გაცემული რჩევის მიხედვით, სასურველია მეტად გაძლიერდეს საერთაშორისო პროექტებში პერსონალის ჩართულობა. აკადემიური და მოწვეული პერსონალის ადგილობრივ და საერთაშორისო ტრენინგებში, სემინარებსა და

გამოფენებში უფრო აქტიური მონაწილეობისთვის მნიშვნელოვანია დაწესებულების ხელშეწყობა და, სასურველია, პერსონალის პრაქტიკულ საქმიანობასთან ერთად კვლევითი კომპონენტის უფრო ინტენსიური ჩართვა.

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა დაწესებულების წარმომადგენლებს წარმოედგინათ მოსაზრებები.
დაწესებულების წარმომადგენლმა ნინო ღაღანიძემ აღნიშნა, რომ ერთ-ერთი მნიშვნელოვანი რეკომენდაცია იყო ინფრასტრუქტურისა და აღჭურვილობის საკითხი, რომელიც აღმოიფხვრა. სხვა შემთხვევაშიც დაწესებულება ორიენტირებულია წინსვლაზე და საკმაოდ დეტალურად გაიარა თითოეული რეკომენდაცია და შეასრულა ისინი.

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს წარმოედგინათ მოსაზრებები.
საბჭოს წევრების მხრიდან კითხვები არ დაფიქსირებულა. .

სხდომაზე გამოცხადდა სათათბირო შესვენება
დაწყების დრო: 16:10
დასრულების დრო: 16:12

საბჭოს თავჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა: სსიპ - აპოლონ ქუთათელაძის სახელობის სახელმწიფო სამხატვრო აკადემიის „საიუველირო და ლითონის დამუშავების ხელოვნების“ საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამაზე დაწყებული გეგმიური მონიტორინგის ადმინისტრაციული წარმოების შეწყვეტის საკითხი.

კენჭისყრის შედეგი:
მომხრე - 14
წინააღმდეგი - 0

გადაწყვეტილება: აკრედიტაციის დებულების 27^2 მუხლის პირველი პუნქტის, 31-ე მუხლის 25-ე პუნქტის, „საჯარო სამართლის იურიდიული პირის - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის საქმისწარმოების წესისა და შინაგანაწესის დამტკიცების შესახებ „სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის დირექტორის 2011 წლის 01 ივნისის №233 ბრძანების მე-8 მუხლისა და საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 53-ე მუხლის შესაბამისად, შეწყდეს სსიპ - აპოლონ ქუთათელაძის სახელობის სახელმწიფო სამხატვრო აკადემიის „საიუველირო და ლითონის დამუშავების ხელოვნების“ საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამაზე დაწყებული გეგმიური მონიტორინგის ფარგლებში დაწყებული ადმინისტრაციული წარმოება.

საბჭოს თავჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა: სსიპ - აპოლონ ქუთათელაძის სახელობის სახელმწიფო სამხატვრო აკადემიის „საიუველირო და ლითონის დამუშავების ხელოვნების“ სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამაზე დაწყებული გეგმიური მონიტორინგის ადმინისტრაციული წარმოების შეწყვეტის საკითხი.

კენჭისყრის შედეგი:
მომხრე - 14
წინააღმდეგი - 0

გადაწყვეტილება: აკრედიტაციის დებულების 27^2 მუხლის პირველი პუნქტის, 31-ე მუხლის 25-ე პუნქტის, „საჯარო სამართლის იურიდიული პირის - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის საქმისწარმოების წესისა და შინაგანაწესის დამტკიცების შესახებ „სსიპ -

განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის დირექტორის 2011 წლის 01 ივნისის №233 ბრძანების მე-8 მუხლისა და საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 53-ე მუხლის შესაბამისად, შეწყდეს სსიპ - აპოლონ ქუთათელაძის სახელობის სახელმწიფო სამხატვრო აკადემიის „საიუველირო და ლითონის დამუშავების ხელოვნების“ სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამაზე დაწყებული გეგმიური მონიტორინგის ფარგლებში დაწყებული ადმინისტრაციული წარმოება.

დღის წესრიგით განსაზღვრული საკითხების განხილვის დასრულების შემდგომ, საბჭოს სხდომა დახურულად გამოცხადდა 16:15 სთ-ზე.

საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის
საბჭოს
მდივანი
კელიხაშვილი ვაჟა

საგანმნათლებლო პროგრამების აკრედიატციის საბჭო
თავმჯდომარე
ლევან შავაძე